ანოტაცია
ნორსულფაზოლ- ნატრიუმი (Norsulfazol–natrium)
Sulfathiazole

პერორალურად მისაღები ფხვნილი, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა
1 გ ფხვნილი შეიცავს: სულფათიაზოლ ნატრიუმი - 998მგ
აღწერა: თეთრი ან მოყვითალო ფერის უსუნო ფხვნილი.
ფარმაკოლოგიური თვისებები
ნორსუფაზოლ-ნატრიუმს გააჩნია მკვეთრად გამოხატული ანტიმიკრობული აქტივობა მრავალი გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ, როგორიცაა: Streptococcus, Minengococcus, Salmonella, E.coli, Pasteurella და ა.შ. პრეპარატი ადვილად გაიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და სწრაფად გამოიყოფა ორგანიზმიდან. სისხლში თერაპიული კონცენტრაცია შენარჩუნებულია 6-12 საათის განმავლობაში. ორგანიზმიდან გამოიყოფა შარდთან ერთად.
სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა პირუტყვი ,ხბო, წვრილფეხა პირუტყვი , ცხენი, ღორი, ბოცვერი, ფრინველი
გამოყენების ჩვენებები
კატარალური ბრონქოპნევმონია, პლევრიტები, სტრეპტოკოკური და სტაფილოკოკური სეფსისი, გასტროენტერიტები, დიპლოკოკური სეპტიცემია და სხვა ბაქტერიული ინფექციები, რომლის გამომწვევი ბაქტერიებიც მგძნობიარეა ნორსულფაზოლის მიმართ.
გამოყენების წესი და დოზები
ნორსულფაზოლ-ნატრიუმი გამოიყენება ყველა სახის შინაურ ცხოველებში – მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ხბოს, ცხვარს, თხას, ღორს, ცხენს, ბოცვერს და ფრინველს ეძლევა პერორალურად, გახსნილი სასმელ წყალში, ინდივიდუალური ან ჯგუფური თერაპიისას (ჯგუფური გამოყენებისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს პრეპარატის თანაბარი გადანაწილება საკვებში).
ბოცვერს - კოკციდიოზის სამკურნალოდ I დღეს - 0.4გ/კგ ც.წ-ზე. 0.5-1%-იანი სასმელი წყლის ხსნარი 2-ჯერ დღეში. ან უნიშნავენ შესველებულ საკვებში 0.2გ/კგ ც.წ-ზე, მომდევნო 4 დღეს 0.1გ/1კგ ც. წ-ზე.
ხბოებს - 0.02-0.05გ/1კგ ც.წ-ზე. საწყისი დოზა 2-ჯერ მეტია რეკომენდებულზე. მიიღება 3-4 დღის განმავლობაში.

ერთ სულზე გადათვლით ეძლევათ:
ცხენს და მსხვილფეხა პირუტყვს – 10-25 გ.
ღორს, ცხვარსა და თხას – 2-5 გ.
ფრინველს – 0,5 გ. დღეში 2-3 ჯერ. საწყისი დოზა 2-ჯერ მეტია რეკომენდირებულზე.
თერაპიული მოქმედების ასამაღლებლად მიზანშეწონილია კომბინაცია იოდის პრეპარატებთან.
უკუჩვენებები
ნეფრიტები, ნეფროზები, სისხლმბადი სისტემის დაავადებები.

გვერდითი მოვლენები

როგორც წესი არ შეინიშნება. იშვიათად აღინიშნება ღებინება, დიარეა. ხანგრძლივი გამოყენებისას შეიძლება განვითარდეს დერმატიტები, ასევე ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ დარღვევები.

სპეციფიური გაფრთხილებები ცხოველთა სამიზნე სახეობისთვის, რომლისთვისაც განკუთვნილია ვეტერინარული სამკურნალო საშუალება.

თუ სამი დღის შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესება არ აღინიშნა, მკურნალობა უნდა შეწყდეს.

საკვების საშუალებით პრეპარატის მიღებისას უნდა უზრუნველყოთ სასმელი წყლის ადეკვატური მიწოდება.

გარემოში ნარჩენების გამოყოფის გამო, აუცილებელია დამუშავებული ცხოველების შენახვა დაუმუშავებელი ცხოველებისგან განცალკევებით, რეგულარულად უნდა მოხდეს გალიების გაწმენდა და ნაკელის გატანა.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული იმ პირის მიერ, რომელიც აწვდის პრეპარატს ცხოველებს.

ვინაიდან ამ მედიკამენტმა შეიძლება გამოიწვიოს სენსიბილიზაცია და კონტაქტური დერმატიტი, თავიდან უნდა იქნას აცილებული კანთან პირდაპირი კონტაქტი. ამისათვის ატარეთ ხელთათმანები და რესპირატორი.

ურთიერთქმედება სხვა წამლებთან (და ურთიერთქმედების სხვა ფორმები)

არ შეურიოთ სხვა ვეტერინარულ სამკურნალო საშუალებებთან, კერძოდ, სხვა ანტიბაქტერიულ საშუალებებთან ან/და კოკციდიოსტატიკებთან, ასევე ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებებთან და პარაამინობენზოის მჟავის წარმოებულებთან.

ლოდინის პერიოდი

ცხოველების და ფრინველების სახორცედ დაკვლა ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 5 დღის შემდეგ. რძე - 2 დღის შემდეგ. არ გამოიყენოთ ფრინველებში, რომელთა კვერცხები გამოიყენება ადამიანის საკვებად.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 3 წელი.

გამოშვების ფორმა: 1გ პერორალური ფხვნილი(მოთავსებული ვერცხლისფერ სამშრიან (პოლიპროპილენი,მეტალიზებული ფირი, პოლიპროპილენი) პაკეტში); 50გ და 250გ მოთავსებული სამშრიან (პოლიეთილენტერეფტალატი, ალუმინის ფირფიტა,პოლიეთილენი) პაკეტში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალება. ATC vet.code - QJ01EQ07

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მხოლოდ ცხოველების სამკურნალოდ.

გაიცემა ვეტერინარის დანიშნულებით.

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტეკსი“, იუმაშევის ქ.#8, თბილისი, საქართველო